ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5296801

ნომერი: AR1800965

თარიღი : 15.02.2021

გაცემის თარიღი : 19.02.2021

გაცნობის თარიღი : 23.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის ჩიხი N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზი ქოქიაშვილი პ/ნ 35001082012
- საქართველო, ქალაქი რუსთავი, ვლადიმერ მესხიშვილის II გასასვლელი, N 4, ბინა 4

ნომენკლატურა :

- ქარხანა
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ,,დუგლაძეების ღვინის კომპანია''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206159100
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით დუგლაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008000661

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 17118.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 220.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2156.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1980.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 176.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
1.საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-5 მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების თანახმად:
- სართულის განაშენიანების ფართობი განისაზღვრება სართულის გეგმის გარე კონტურში მოქცეული ფართობით, აივნებისა და ტერასების ფართობების ჩათვლით
- შენობის განაშენიანების ფართობი არის ყველა სართულის განაშენიანების ფართობების ჯამი. გაცნობებთ, რომ II კლასის შენობა-ნაგებობის განმსაზღვრელი მახასიათებლებია: 500 მ2მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მდან 12 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-დან 4 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა, შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლებია ან ტოლია 7 მ-ისა.
აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი მახასიათებლებით განეკუთვნება II კლასს, რადგან წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით, მალის სიგრძე არ აღემატება 7 მეტრს.
საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და III კლასის ნაცვლად დააყენოთ მოთხოვნა II კლასის ობიექტის პროექტის შეთანხმებაზე.

2.მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.: ველში ჩაწერეთ სადემონტაჟო შენობის ნომერი;

3.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: საჭიროა წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის თანხმობა, საჭიროების შემთხვევაში ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად. ასევე, საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება საგადასახადო იპოთეკა. საჭიროა წარმოდგენილი იქნას სსიპ შემოსავლების სამსახურის თანხმობა ან განახლებული ამონაწერი, იპოთეკის გარეშე;

4.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. -> .სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ჯამური ფართობი (კვ.მ): ფართობი მიუთითეთ ამონაწერის შესაბამისად;

5.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : დამატებით საჭიროა წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა;

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.